”როგორ შეიძლება დღეს იყო ეკონომიკის, ხვალ კი შინაგან საქმეთა მინისტრი?”

გაზეთი ”კვირის პალიტრა”, 20-26 ნოემბერი, 2017 წელი.

პროფესორი ლადო პაპავა:

- სამთავრობო ცვლილებები ეფექტურია, თუმცა არა ეფექტიანი. ამ ორ ეკონომიკურ ტერმინს შორის კი მნიშვნელოვანი სხვაობაა - სააკაშვილის დროს მთავრობა ეფექტური იყო, მოულოდნელი განცხადებებით და ქმედებებით გამოირჩეოდა და საზოგადოებაზე შესაბამის ეფექტსაც ახდენდა, თუმცა ცვლილებები შედეგზე ორიენტირებული არ ყოფილა. კვირიკაშვილის მიერ შემოთავაზებული ცვლილებებიც ნაციონალური მოძრაობის ხელწერისგან დიდად არ განსხვავდება.

მთავარი შეცდომა ისაა, რომ მთავრობის ზომის შემცირება ოპტიმიზაციად მოინათლა - შესაძლოა, სამინისტროების დაფინანსება ან თანაშრომლების რაოდენობა შემცირდეს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, ზოგიერთ უწყებაში, პირიქით, კადრების გაზრდა ყოფილიყო საჭირო. სწორედ ამას ნიშნავს ოპტიმიზაცია და არა უწყებების მექანიკურ შეკვეცას.

როცა სახელმწიფო უარს ამბობს რომელიმე ფუნქციის განხორციელებაზე, ხარჯი გადადის მოსახლეობაზე, რაც შესაძლოა საბოლოო ჯამში საზოგადოებისათვის უფრო ძვირიც კი აღმოჩნდეს.

გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმება და მისი ფუქნციების, ერთი მხრივ, ეკონომიკის სამინისტროზე, მეორე მხრივ კი სოფლის მეურნეობის სამინისტროზე გადანაწილება მცდარი გადაწყვეტილებაა. ეს იგივეა ცხვრის ფარა მოსავლელად პირდაპირ მგელს ჩავაბაროთ. ეკონომიკის სამინისტროს ინტერესშია რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო რესურსი გამოიყენოს მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, გარემოს დაცვის სამინისტრო კი ამ რესურსების რაციონალურ გამოყენებაზეა ორიენტირებული, რათა რაც შეიძლება მეტი ბუნებრივი რესურსი შევუნახოთ მომავალ თაობებს. სხვა სიტყვებით, ეკონომიკის სამინისტრო და გარემოს დაცვის მიმართულება ერთმანეთთან კონფლიქტში უნდა იყვნენ. ანალოგიური ინტერესთა კონფლიქტია სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციებს შორისაც. თანაც გარემოს დაცვის საკითხი ქალაქად უფრო მწვავეა ვიდრე სოფლად, და რა შუაშია აქ სოფლის მეურნეობა? თანაც, ასოცირების ხელშეკრულებაში ხაზგასმით წერია, რომ გარემოს დაცვის ფუნქციის გაძლიერებაზე, მითუმეტეს, მსოფლიოში შემუშავეუბლი გლობალური პოლიტიკის გათვალისწინებით.

- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამინისტროს გაუქმება და მისი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეერთებაც მცდარი გადაწყვეტილებაა?

- როცა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მინისტრის პოსტი შეიქმნა, თითქოს ინსტიტუციურად გაუმართლებელი გადაწყვეტილება გახლდათ, რადგან ეს არის სფერო, რომელიც მარტივად შეიძლება ფუნქციონირებდეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთი ან ორი დეპარტამენტის სახით და მის მუშაობას მინისტრის მოადგილე კურირებდეს. თუმცა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ევროატლანიკურ სტრუქტურებში ევროინტეგრაციის ინტეგრაციის სამინისტროს ცალკე გამოყოფა საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკურად მომგებიანი ნაბიჯი იყო - ამით მსოფლიოს ვუთხარით, რომ ჩვენთვის იმდენად მნიშვნელოვანია დასავლეთთან ინტეგრაცია, ამ მიმართულებით ცალკე უწყებაც კი შევქმენით. ახლა რა მოხდა, ნატო-ს წევრი გავხდით თუ ევროკავშირის? კიდევ ერთი შეკითხვა - ვის ინტერესშია ამ უწყების გაუქმება და ვის გავუგორეთ კოჭი?

- ფიქრობთ, რუსეთის საამებლად გაუქმდა ეს კონკრეტული უწყება?

- ასე იკითხება, თუმცა შეგნებულად მოხდა ეს თუ გაუცნობიერებლად, თავს ნამდვილად ვერ დავდებ - დღეს მთავრობაში გადაწყვეტიების მიმღებ პირებზე დიდი წარმოდგენა არ მაქვს, ისინი სახელმწიფოებრივად კი არ აზროვნებენ, რიგითი მენეჯერები არიან... ასეთი მნიშვნელობის სახელმწიფო აპარატის გაუქმება, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ამას აუცილებლად მოჰყვება შესაბამისი რეაგირება საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან - შესაძლოა, კითხვები საჯაროდ არ დააფიქსირონ, თუმცა კულუარულად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს აუცილებლად დასჭირდებათ თავის მართლება... თანაც, რა რაოდენობით უნდა შეამცირონ ამ უწყების გაუქმების შემდეგ კადრები? მაქსიმუმ, ბუღალტერია, რადგან რეალურად საქმე საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ხომ იგივე ადმიანებმა უნდა განაგრძონ, ვინც მანამდე ცალკე სამინისტროში მუშაობდნენ?!

კითხვები მიჩნდება ბ-ნი გიორგი გახარიას შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის გამოც, რომელიც ამავდროულად ვიცე-პრემიერიც უნდა გახდეს. ვთქვათ, პრემიერი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვიზიტით იმყოფება, ან შეუძლოდაა - ასეთ ვითარებაში ქვეყანა შინაგან საქმეთა მინისტრმა უნდა მართოს. ჩვენ რა ორიენტაციას პოლიციურ სახელმწიფოზე ვიღებთ? ამასთან, გაუგებარია, როგორ შეიძლება დღეს იყო ეკონომიკის, ხოლო ხვალ შინაგან საქმეთა მინისტრი? რომელი დაგრის სპეციალისტი ხარ, და რას უნდა მოელოდეს შენგან ქვეყანა? გავიხსენოთ, მაგალითად, დიმიტრი შაშკინი (თუმცა სხვაც ბევრი იყო მსგავსი), რომელიც სასჯელაღსრულების მინისტრობიდან განათლების და მეცნიერების მინისტრად გადაიყვანეს. ქოცებმა, სამწუხაროდ, ნაცების ხელწერა არ შეცვალეს...

საბჭოური სუნი სდის სუს-თან საგარეო დაზვერვის გაერთიანებასაც, მართალია, ამ მიმართულებით კომპეტენტური არ ვარ, თუმცა კარგად მახსოვს, ეს ეტაპი როგორ გავიარეთ და არამგონია, საზოგადოებას წარსულში დაბრუნების სურვილი ამოძრავებდეს.

რაც შეეხება ენერგეტიკის სამინისტროს ეკონომიკის სამინისტროსთან შერწყმას, ვფიქრობ, ამით არაფერი დაშავებულა და ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა. უმტკივნეულო პროცესი იქნება კულტურისა და სპორტის სამინისტროს შეერთებაც - ახალი ფუნქციების შესათავსებლად ბ-ნ გიორგაძეს განსაკუთრებული უნარების გამომჟღავნება ნამდვილად არ დასჭირდება.

- რაც შეეხება არა ინსტიტუციურ, არამედ პიროვნულ ცვლილებებს - მინისტრთა კაბინეტს ორი ახალი წევრი ჰყავს. გაქვთ მოლოდინი, რომ დავით ბახტაძე და მიხეილ ჩხენკელი უწყებებში ვითარების რადიკალურ ცვლილებას უზრუნველყოფენ?

- პირველ რიგში, საქართველოს ორ კარგ ამბავს ვულოცავ - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თსუ-ს სტატუსშეჩერებული სტუდენტი ჩამოაცილეს. თუ საზოგადოებამ არ იცის, სანდრო ჯეჯელავამ დოქტურანტურის სწავლა თსუ-ში დაიწყო და სტატუსი მალევე შეიჩერა, თუმცა როგორც დაგვპირდა, ამერიკაში დაიწყებს თავიდან დოქტორანტურაში სწავლას. მეორე კარგი ამბავი ისაა, რომ გადავრჩით და "კობლესთან მეომარი ვაშლიბერტყიას" ელჩად წარდგენა არ შედგა. ვფიქრობ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმართებაში სწორი გადაწყვეტილებაა მიღებული. მიხეილ ჩხენკელი საუნივერსიტეტო სფეროდანაა, შესაბამისად, პროფესიული თვალსაზრისით ადეკვატურ კადრად უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება ფინანსთა მინისტრს, პიროვნულად ბ-ნ ბახტაძეს არ ვიცნობ, თუმცა ამ პოსტზე უნდა ინიშნებოდეს მაკროეკონომისტი და არა ტექნოლოგი თუ ბიზნეს ადმინისტრატორი. ან თავად როგორ დათანხმდა ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობას, არ მესმის. მიუხედავად ამისა, ბ-ნ ბახტაძეს წარმატებებს ვუსურვებ, თუმცა განსაკუთებული მოლოდინი მისი საქმიანობიდან არ მაქვს.

რაც შეეხება ვიქტორ დოლიძეს, მოღალატეებს პატივს არ ვცემ. თუ პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი ხარ, როგორ უნდა განაცხადო, ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტის გაუქმება სწორი გადაწყვეტილებაა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, კორპორაციული ინტერესი მაინც არ უნდა დაიცვა? თუ ეს სტრუქტურა გასაუქმებელი იყო, აქამდე რატომ არ გადადექი?

- თუ აცხადებთ, რომ სამინისტროების შემცირება რეალურ შედეგს არ მოგვცემს და თუნდაც დაანონსებული საკადრო შემცირებები საჯარო სექტორში, ფინანსურადაც არ იქნება მომგებიანი, მაშინ რამ განაპირობა მთელი ეს სტრუქტურული ქაოსი?

- მარტივია - რა დაშავდებოდა მთავრობა ერთი კვირის შემდეგ რომ შეკვეცილიყო, ჯეჯელავაც დამატებით ერთი კვირაც აგვეტანა და მინისტრთა კაბინეტის ცვლილება

მაინცდამაინც კახი კალაძის მერიაში მისვლასა და მის მიერ დედაქალაქის ახალი მთავრობის დასახელებას არ დამთხვეოდა?

- **კალაძის ფაქტორის გადაფარვა იყო მიზანი?**

- ხომ ფაქტია, რომ სამთავრობო ცვლილებების ფონზე კალაძის ფაქტორი აშკარად გაფერმკრთალდა. შესაძლოა, ვიღაც გენიოსია მთავრობაში, რომელიც მთავრობას თავის ჭკუაზე ატრიალებს, ან ყველაფერი ტრადიციულად, ანუ პრიმიტიულად გადაწყდა... თუმცა ისევ გავიმეორებ - თბილისის ახალი მერის თემამ სიმძაფრე, აქტუალურობა დაკარგა, რადგანაც ის ნაცების მიერ მოგონილმა, და ქოცების მიერ წარმატებით გამოყენებულმა სამთავრობო "კარუსელმა" ჩაანაცვლა.

რუსუდან შელია